




INNOX

We Do Finance

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა1-3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება4

მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება5

ფულადი ნაკადების ანგარიშგება6

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები8-25

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „თბილისი ლამის“ ხელმძღვანელობას.

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თბილისი ლამის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში და შესაბამისად ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის დასაწყისსა და ბოლოს, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 4 469 513 ლარს (2023: 6 159 143), რაც ხელს უშლის ჩვენს შესაძლებლობას დავადგინოთ საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ისევე როგორც მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში

კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

22 ოქტომბერი, 2025

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი



აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი - SARAS-A-509177

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს „თბილისი ლამის“ ხელმძღვანელობას.

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თბილისი ლამის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2024 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში და შესაბამისად ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის დასაწყისსა და ბოლოს, რომლის ღირებულებაც შეადგენდა 4 469 513 ლარს (2023: 6 159 143), რაც ხელს უშლის ჩვენს შესაძლებლობას დავადგინოთ საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ისევე როგორც მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენი მოსაზრება არის მოდიფიცირებული.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში

კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში. ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

▪ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

▪ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

▪ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

22 ოქტომბერი, 2025

შპს „ინოქსი“ (ს/კ 404539674)

ირაკლი ჭილაძე
გარიგების პარტნიორი

აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო ნომერი - SARAS-F-481994

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი- SARAS-A-509177

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 კორექტირებულ	1 იანვარი 2023 კორექტირებულ
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	6 231 843	6 068 843	6 445 702
არამატერიალური აქტივები		4 952	391	460
საინვესტიციო ქონება	6	633 206	676 306	719 406
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 870 001	6 745 540	7 165 568
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	4 469 513	6 159 143	5 058 280
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3 265 224	4 023 565	4 164 902
ფული და ფულის ექვივალენტები	9	230 672	295 914	439 638
სულ მიმდინარე აქტივები		7 965 409	10 478 622	9 662 820
სულ აქტივები		14 835 410	17 224 162	16 828 388
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		4 908 481	5 481 232	5 898 707
სულ კაპიტალი		4 908 581	5 481 332	5 898 807
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	5 186 671	6 381 755	3 122 926
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 186 671	6 381 755	3 122 926
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	1 126 826	1 042 003	4 948 853
საგადასახადო ვალდებულებები		50 244	32 634	38 257
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3 563 088	4 286 438	2 819 545
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 740 158	5 361 075	7 806 655
სულ ვალდებულებები		9 926 829	11 742 830	10 929 581
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14 835 410	17 224 162	16 828 388

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-25 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით
დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 22 ოქტომბერს.

არჩილ ჯიჯავაძე
დირექტორი



შორენა რიკაძე
მთავარი ბუღალტერი

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 კორექტირებული	1 იანვარი 2023 კორექტირებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	6 231 843	6 068 843	6 445 702
არამატერიალური აქტივები		4 952	391	460
საინვესტიციო ქონება	6	633 206	676 306	719 406
სულ გრძელვადიანი აქტივები		6 870 001	6 745 540	7 165 568
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	4 469 513	6 159 143	5 058 280
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	3 265 224	4 023 565	4 164 902
ფული და ფულის ექვივალენტები	9	230 672	295 914	439 638
სულ მიმდინარე აქტივები		7 965 409	10 478 622	9 662 820
სულ აქტივები		14 835 410	17 224 162	16 828 388
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება		4 908 481	5 481 232	5 898 707
სულ კაპიტალი		4 908 581	5 481 332	5 898 807
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	5 186 671	6 381 755	3 122 926
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		5 186 671	6 381 755	3 122 926
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	1 126 826	1 042 003	4 948 853
საგადასახადო ვალდებულებები		50 244	32 634	38 257
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	3 563 088	4 286 438	2 819 545
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4 740 158	5 361 075	7 806 655
სულ ვალდებულებები		9 926 829	11 742 830	10 929 581
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14 835 410	17 224 162	16 828 388

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 4-25 გვერდის ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 22 ოქტომბერს.

არჩილ ჯიჯავაძე

დირექტორი

შორენა რიკაძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 კორექტირებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	15 568 459	20 039 789
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	14	(14 418 812)	(18 257 504)
საერთო მოგება		1 149 647	1 782 285
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(736 639)	(726 473)
მიწოდების ხარჯები	15	(227 609)	(325 304)
საოპერაციო მოგება		185 399	730 508
საპროცენტო ხარჯები	11	(492 842)	(456 098)
კურსთაშორის სხვაობა		96 627	(301 954)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები		145 605	45 881
ძს გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)		(240)	2 270
მოგება ზარალი/დაბეგვრამდე		(65 451)	20 607
მოგების გადასახადი	17	(75 998)	(65 411)
წმინდა ზარალი/მოგება		(141 449)	(44 804)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი/შემოსავალი		(141 449)	(44 804)

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023 კორექტირებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		(141 449)	(44 804)
კორექტირებები:		636 449	984 666
ცვეთა და ამორტიზაცია	5,6	240 234	226 614
საპროცენტო ხარჯი	11	492 842	456 098
წმინდა (მოგება) / ზარალი უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(96 627)	301 954
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		495 000	939 862
ცვლილება მიმდინარე სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		1 689 630	(1 100 863)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში		17 610	(5 623)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		758 341	141 337
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(692 012)	1 375 968
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2 268 569	1 350 681
პროცენტის გადახდა		(492 842)	(456 098)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1 775 727	894 583
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	5	(372 822)	(328 646)
ძირითადი საშუალების გასვლა	5	12 747	522 060
არამატერიალური აქტივების შეძენა		(4 620)	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(364 695)	193 414
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დივიდენდის გაცემა	10	(431 302)	(372 671)
სესხის მიღება / გადახდა	11	(1 015 929)	(837 452)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1 447 231)	(1 210 123)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის		295 914	439 638
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		(29 043)	(21 598)
წმინდა ზრდა/(კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		(36 199)	(122 126)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის		230 672	295 914

შპს „თბილისი ლამ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორექტირებული	100	5 898 707	5 898 807
წმინდა მოგება	-	(44 804)	(44 804)
დივიდენდის გაცემა	-	(372 671)	(372 671)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორექტირებული	100	5 481 232	5 481 332
წმინდა მოგება	-	(141 449)	(141 449)
დივიდენდის გაცემა	-	(431 302)	(431 302)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	4 908 481	4 908 581

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „თბილისი ლამ“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის 3 თებერვალს საიდენტიფიკაციო კოდი: 404886450. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდ. II მ/რ, III კვ. კორპ.2 ბ.9.

2024, 2023 და 2022 წლების მდგომარეობით კომპანიის 35% ფლობს არჩილ ჯიჯავამე, ხოლო 65% წილის მფლობელია იაშა შერვაშიძე.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საავეჯე მასალების ყიდვა გაყიდვა, პროდუქციის მიწოდება საქართველოს მასშტაბით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 21 თანამშრომელი (2023 წელი: 21, 2022 წელი: 21).

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების მეთოდით და არსებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) მიხედვით.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიას სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშგებზე განთავსებულ თანხებს, რომლებსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივი პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია კომპანიისთვის. კომპანია აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირ თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიას ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს გაუფასურების ზარალი მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს ისეთ ემპირიულ მონაცემებს, რომლებიც აქტივის მფლობელისთვის გახდება ცნობილი გაუფასურების გამოძწევი შემდეგი მოვლენების შესახებ:

- (ა) ემიტენტის ან მევალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნეეები;
- (ბ) ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;
- (გ) საწარმო, დებიტორის ფინანსურ სიძნეეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- (დ) როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან
- (ე) ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები პირველად აღიარდება, შესაბამისად საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაჰენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტები უნდა შეაფასოს იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ქვემოთ, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ინსტრუმენტის გაყიდვისას, ან სხვა ფორმით გასვლისას: (ა) სავალ ინსტრუმენტები, უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, უნდა შეფასდეს გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით) იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს;

(ბ) სესხის მიღების ვალდებულება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით (რომელიც ზოგჯერ წარმოადგენს ნულს), გაუფასურების თანხის გამოკლებით;

(გ) არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები უნდა შეფასდეს შემდეგნაირად :

- (i) თუ აქციები საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვა მხრივ არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აღიარდეს მოგებაში ან ზარალში; და
- (ii) ყველა სხვა ამგვარი ინვესტიცია უნდა შეფასდეს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთების გამოყენებით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე სასარგებლო-მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო-მომსახურების ვადა განისაზღვრება აქტივის შეძენის ხელშეკრულებაში მითითებული ვადების მიხედვით და დამოკიდებულია შეძენილი არამატერიალური აქტივის მახასიათებლებზე, როგორიცაა მაგალითად სერიების რაოდენობა. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება.

აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგებაზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

საზოგადოების არამატერიალურ აქტივის ძირითად ნაწილს შეადგენს პროგრამული უზრუნველყოფა და ფილმებისა - სერიალების ლიცენზიები.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილ (Weighted-Average) მეთოდს და მოიცავს შემქმნის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შემოსავლების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის არის განხორციელებული გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით.

ტელეკომპანია ახორციელებს მაუწყებლობას მთელი საქართველოს მაშტაბით და მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებულობას, ახალი ამბების, საზოგადოებრივ პოლიტიკური, ანალიტიკური, მიმოხილვითი, საბავშვო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, გასართობ-შემეცნებითი, გასართობი, იუმორისტული, ინტელექტუალური და დოკუმენტური გადაცემების ჩვენება სატელევიზიო ეთერით.

შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მოსახურების მიხედვით.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შესაძლებლობისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.-

3 IASB-ს მიერ გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმატებები

2025 წლის 27 თებერვალს საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოაქვეყნა IFRS მცირე და საშუალო კომპანიებისთვის (IFRS for SMEs) სტანდარტის მესამე გამოცემა, რომელიც ასახავს სტანდარტის მეორე სრულყოფილ გადახედვას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მესამე გამოცემაში ძირითადი განახლებები შეეხო შემოსავლის აღრიცხვის (მუხლი 23), სამართლიანი ღირებულების შეფასების (მუხლი 12), ფინანსური ინსტრუმენტების (მუხლი 11), ბიზნეს ერთეულებსა და კონსოლიდაციას (მუხლები 19 და 9) და სხვა პრინციპებს.

ახალი სტანდარტი იქნება სავალდებულო 2027 წლის 1 იანვრიდან წელიწადისთვის, თუმცა შესაძლებელია მისი დაწყებამდე მიღება.

კომპანია გადახედავს და განიხილავს მესამე გამოცემის სტანდარტის შესაძლო ადაპტაციას თავის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებში.

4 შესადარისი ინფორმაციის კორექტირების გავლენა

ბასს 8-ის შესაბამისად, კომპანიამ შეცდომები და პოლიტიკის ცვლილება ასახა რეტროსპექტულად. შედეგად მიღებული კორექტირებები წარმოდგენილია ქვემოთ:

- კომპანიამ აღიარა გაუფასურების რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებისთვის;
- საინვესტიციო ქონების რეკლასიფიკაცია გააკეთა ძირითადი საშუალებებიდან;
- გაასწორა სესხების კლასიფიკაცია მოკლევადიანსა და გრძელვადიანს შორის;
- გაასწორა მიღებული და გაცემული ავანსების კლასიფიკაცია;
- გამოყო მოწოდების ხარჯები ადმინისტრაციული ხარჯებისგან;
- იჯარიდან მიღებული შემოსავლის გამოყოფა მოხდა შემოსავლი რელიზაციიდან;
- მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსების რეკლასი გაკეთდა თვითღირებულებაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის:

	31.12.2023	კორექტირება	31.12.2023 კორექტირებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6 519 731	(450 888)	6 068 843
არამატერიალური აქტივები	391	-	391
საინვესტიციო ქონება	-	676 306	676 306
სულ გრძელვადიანი აქტივები	6 520 122	225 418	6 745 540
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6 160 025	(882)	6 159 143
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 994 764	1 028 801	4 023 565
ფული და ფულის ექვივალენტები	295 914	-	295 914
წინასწარ გაწეული ხარჯები	51 393	(51 393)	-
სულ მიმდინარე აქტივები	9 502 096	976 526	10 478 622
სულ აქტივები	16 022 218	1 201 944	17 224 162
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	100	-	100
გაუნაწილებელი მოგება	5 576 456	(95 224)	5 481 232
სულ კაპიტალი	5 576 556	(95 224)	5 481 332

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6 111 077	270 678	6 381 755
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	6 111 077	270 678	6 381 755
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	1 300 816	(258 813)	1 042 003
საგადასახადო ვალდებულებები	61 770	(29 136)	32 634
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 971 999	1 314 439	4 286 438
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4 334 585	1 026 490	5 361 075
სულ ვალდებულებები	10 445 662	1 297 168	11 742 830
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	16 022 218	1 201 944	17 224 162

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	01.01.2023	კორექტირება	01.01.2023 კორექტირებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7 165 108	(719 406)	6 445 702
არამატერიალური აქტივები	460	-	460
საინვესტიციო ქონება	-	719 406	719 406
სულ გრძელვადიანი აქტივები	7 165 568	-	7 165 568
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	5 058 280	-	5 058 280
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 350 804	814 098	4 164 902
ფული და ფულის ექვივალენტები	439 638	-	439 638
წინასწარ გაწეული ხარჯები	58 866	(58 866)	-
სულ მიმდინარე აქტივები	8 907 588	755 232	9 662 820
სულ აქტივები	16 073 156	755 232	16 828 388
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	100	-	100
გაუნაწილებელი მოგება	5 941 628	(42 921)	5 898 707
სულ კაპიტალი	5 941 728	(42 921)	5 898 807
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	8 063 624	(4 940 698)	3 122 926
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	8 063 624	(4 940 698)	3 122 926
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	-	4 948 853	4 948 853
საგადასახადო ვალდებულებები	55 892	(17 635)	38 257
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 011 912	807 633	2 819 545
სულ მიმდინარე ვალდებულებები	2 067 804	5 738 851	7 806 655

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სულ ვალდებულებები	10 131 428	798 153	10 929 581
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	16 073 156	755 232	16 828 388

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2023	კორექტირება	2023 კორექტირებული
შემოსავალი რეალიზაციიდან	20 173 318	(133 529)	20 039 789
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(13 046)	13 046	-
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(18 442 249)	184 745	(18 257 504)
უკან დაბრუნების თვითღირებულება	11 440	(11 440)	-
საერთო მოგება	1 729 463	52 822	1 782 285
ადმინისტრაციული ხარჯები	(1 301 223)	574 750	(726 473)
მიწოდების ხარჯები	(18 134)	(307 170)	(325 304)
საოპერაციო მოგება	410 106	320 402	730 508
საპროცენტო ხარჯები	(452 389)	(3 709)	(456 098)
კურსთაშორის სხვაობა	(301 954)	-	(301 954)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	405 247	(359 366)	45 881
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება (ზარალი)	(11 911)	14 181	2 270
მოგება დაბეგვრამდე	49 099	(28 492)	20 607
მოგების გადასახადი	-	(65 411)	(65 411)
წმინდა ზარალი/მოგება	49 099	(93 903)	(44 804)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

5 ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალება	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	3 358 640	1 162 878	1 366 927	522 546	255 790	124 426	6 791 207
შეძენა	6 250	80 931	-	8 305	99 664	41 672	236 822
კაპიტალიზაცია	-	62 859	25 083	-	-	3 882	91 824
შიდა მოძრაობა	-	(83 327)	83 327	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	(7 540)	-	(33 987)	(41 527)
გაყიდვა	(463 164)	-	-	(14 405)	(5 404)	-	(482 973)
31 დეკემბერი 2023	2 901 726	1 223 341	1 475 337	508 906	350 050	135 993	6 595 353
შეძენა	593	51 382	47 754	130 469	27 695	19 449	277 342
კაპიტალიზაცია	10 087	47 827	33 289	-	702	3 575	95 480
მარაგებში	-	-	-	(7 795)	-	-	(7 795)
გადატანა	-	-	-	-	-	(2 170)	(2 170)
ჩამოწერა	-	-	-	(15 254)	-	-	(15 254)
გაყიდვა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	2 912 406	1 322 550	1 556 380	616 326	378 447	156 847	6 942 956
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022	-	-	91 640	162 965	54 036	36 864	345 505
გასვლა	-	-	-	(1 272)	(1 168)	-	(2 440)
ცვეთის ხარჯი	-	-	102 086	40 999	26 474	13 886	183 445
31 დეკემბერი 2023	-	-	193 726	202 692	79 342	50 750	526 510
ცვეთის ხარჯი	-	-	-	(12 472)	-	-	(12 472)
გაყიდვა	-	-	102 086	45 647	32 208	17 134	197 075
31 დეკემბერი 2024	-	-	295 812	235 867	111 550	67 884	711 113
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2022	3 358 640	1 162 878	1 275 287	359 581	201 754	87 562	6 445 702
31 დეკემბერი 2023	2 901 726	1 223 341	1 281 611	306 214	270 708	85 243	6 068 843
31 დეკემბერი 2024	2 912 406	1 322 550	1 260 568	380 459	266 897	88 963	6 231 843

კომპანია 2024 წლის ბოლო მდგომარეობით ფლობს 149,650 ლარის სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს (2023: 0 ლარი, 2022: 0 ლარი).

მიწის ნაკვეთები და შენობები დაგირავებულია სესხების უზრუნველყოფისთვის.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 საინვესტიციო ქონება

	შენიშვნა
ისტორიული ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	862 003
შემენა	-
გაყიდვა	-
31 დეკემბერი 2023	862 003
შემენა	-
გაყიდვა	-
31 დეკემბერი 2024	862 003
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2022	142 597
ამორტიზაციის ხარჯი	-
გაყიდვა	43 100
31 დეკემბერი 2023	185 697
ამორტიზაციის ხარჯი	-
გაყიდვა	43 100
31 დეკემბერი 2024	228 797
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2022	719 406
31 დეკემბერი 2023	676 306
31 დეკემბერი 2024	633 206

საინვესტიციო ქონება სრულად დაგირავებულია სესხების უზრუნველყოფისთვის.

საინვესტიციო ქონება მოიცავს შენობას, რომელიც გრძელვადიანი იჯარით გაცემულია მოიჯარეზე.

7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-12-24	31-12-23	01-01-23
საქონელი	4 453 348	6 134 849	5 043 288
ნედლეული და მასალები	14 226	22 053	11 811
საწვავ-საცხები მასალები	1 939	2 241	3 181
სულ მარაგები	4 469 513	6 159 143	5 058 280

საქონელი მოიცავს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ, გასაყიდად გამიზნულ საავეჯე მასალებს.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-12-24	31-12-23	01-01-23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2 442 932	2 986 166	3 329 091
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	37	40
მოთხოვნები მატერიალურ პასუხისმგებელი პირების მიმართ	541	593	940
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	821 751	1 036 769	834 831
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3 265 224	4 023 565	4 164 902

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

9 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31-12-24	31-12-23	01-01-23
ნაღდი ფული	2 449	611	4 864
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	225 810	154 799	428 657
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 413	140 504	6 117
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	230 672	295 914	439 638

არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ლარს.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დივიდენდის სახით მფლობელებზე გაანაწილა 431 302 ლარი, (2023: 372 671 ლარი).

კომპანიის მფლობელები წარმოდგენელია ქვემოთ:

მესაკუთრეები	31-12-24	31-12-23
არჩილ ჯიჯავაძე	35%	35%
იამა შერვაშიძე	65%	65%

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11 სესხები

	31-12-24	31-12-23	01-01-23
მოკლევადიანი სესხები	1 109 319	1 030 138	4 940 697
გრძელვადიანი სესხები	5 186 671	6 381 755	3 122 926
გადასახდელი პროცენტები	17 507	11 865	8 156
სულ ფინანსური ვალდებულებები	6 313 497	7 423 758	8 071 779

სესხები მიღებულია სს ტერა ბანკისგან. დეტალური ინფორმაცია სესხების შესახებ 2024 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

სესხის #	პროცენტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის დაფარვის პერიოდულობა	პროცენტის დაფარვის პერიოდულობა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	გადასახდელი პროცენტები
სესხი 1	12%	GEL	02.11.2020	02.11.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	331 985	341 124	3 319
სესხი 2	6%	EUR	25.02.2019	15.02.2029	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	95 589	340 929	1 022
სესხი 3	6%	EUR	25.02.2019	25.02.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	25 231	4 345	69
სესხი 4	6%	EUR	28.06.2019	28.06.2029	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	68 674	273 362	696
სესხი 5	6%	EUR	30.06.2021	30.06.2031	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	95 349	644 475	2 426
სესხი 6	6%	EUR	07.11.2022	16.11.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	129 074	124 906	595
სესხი 7	6%	EUR	15.03.2023	15.03.2033	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	363 416	3 457 530	9 380
სულ სესხები							1 109 318	5 186 671	17 507

დეტალური ინფორმაცია სესხების შესახებ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

სესხის #	პროცენტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის დაფარვის პერიოდულობა	პროცენტის დაფარვის პერიოდულობა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	გადასახდელი პროცენტები
სესხი 1	12%	GEL	02.11.2020	02.11.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	291 919	673 109	5 777
სესხი 2	6%	EUR	25.02.2019	15.02.2029	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	91 473	443 176	1 336
სესხი 3	6%	EUR	25.02.2019	25.02.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	24 184	30 027	135

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სესხი 4	6%	EUR	28.06.2019	28.06.2029	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	65 704	347 253	1 032
სესხი 5	6%	EUR	30.06.2021	30.06.2031	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	91 452	751 108	2 632
სესხი 6	6%	EUR	07.11.2022	16.11.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	123 671	257 854	-
სესხი 7	6%	EUR	15.03.2023	15.03.2033	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	341 735	3 879 227	953
სულ სესხები							1 030 138	6 381 754	11 865

დეტალური ინფორმაცია სესხების შესახებ 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

სესხის #	პროცენტი	ვალუტა	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	ძირის დაფარვის პერიოდულობა	პროცენტის დაფარვის პერიოდულობა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	გადასახდელი პროცენტები
სესხი 1	12%	GEL	02.11.2020	02.11.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	250 474	965 028	3 319
სესხი 2	6%	EUR	25.02.2019	15.02.2029	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	83 913	518 315	1 006
სესხი 3	6%	EUR	25.02.2019	25.02.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	22 160	52 555	68
სესხი 4	6%	EUR	28.06.2019	28.06.2029	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	60 282	400 341	789
სესხი 5	6%	EUR	30.06.2021	30.06.2031	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	83 917	816 819	2 388
სესხი 6	6%	EUR	07.11.2022	16.11.2026	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	113 351	369 869	586
სესხი 8	6%	EUR	11.08.2022	11.08.2023	ყოველთვიურად	ყოველთვიურად	4 326 600	-	-
სულ სესხები							4 940 697	3 122 927	8 156

საპროცენტო ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 492 842 (2023: 456 098) ლარი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-12-24	31-12-23	01-01-23
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3 522 392	4 213 479	2 788 398
მიღებული ავანსები	21 889	54 443	12 807
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	26	117	-
სხვა ვალდებულებები	18 781	18 399	18 340
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3 563 088	4 286 438	2 819 545

არ არის არსებითი განსხვავება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის.

13 შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	15 578 405	20 052 835
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(9 946)	(13 046)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	15 568 459	20 039 789

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს მარაგებისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ სარგებელს.

14 გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(14 369 091)	(18 443 131)
ცვეთის ხარჯი	(144 598)	(143 085)
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	(133 019)	(114 111)
კომუნალური ხარჯები	(26 173)	(26 557)
მომწოდებლის ბონუსები	244 857	457 940
უკან დაბრუნების თვითღირებულება	9 212	11 440
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(14 418 812)	(18 257 504)

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული მარაგების თვითღირებულებას.

კომპანია იღებს ბონუსებს გარკვეული მოცულობის შესყიდვების შესრულების შემდეგ. ასეთი ბონუსები დამოკიდებულია შესყიდული მარაგების სიდიდეზე.

15 მიწოდების ხარჯები

	2024	2023
საწვავის ხარჯი	73 139	130 926
შრომის ანაზღაურება და სხვა სარგებელი	58 177	74 925
მანქანის რემონტის ხარჯები	44 784	65 983
ცვეთის ხარჯი	32 208	26 474
კომუნალური ხარჯები	4 622	2 161

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მიწოდების სხვა ხარჯები	14 679	24 835
სულ მიწოდების ხარჯები	227 609	325 304

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	356 522	393 562
ცვეთა და ამორტიზაცია	63 429	31 968
საგადასახადო ხარჯები	46 480	47 665
მივლინების ხარჯები	40 428	67 482
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	34 538	52 684
კომუნალური ხარჯები	29 694	15 674
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯები	14 086	16 946
საიჯარო ქირა	12 500	12 335
საბანკო ხარჯები	4 878	8 601
კომუნიკაციის ხარჯები	4 830	4 404
წარმომადგენლობითი ხარჯები	4 257	2 167
საკანცელარიო ხარჯები	2 400	1 947
დაცვის ხარჯები	1 525	1 767
სხვა საერთო ხარჯები	121 072	69 271
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	736 639	726 473

17 მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

2024 საანგარიშგებო წლისათვის კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 75 998 (2023: 65 411) ლარი.

18 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

საბალანსო ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

ტრანზაქციები:	2024	2023
შესყიდვები	8 124 012	7 443 915
ნაშთები :	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 104 019	1 342 965

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2024 წლის შეადგინა 92 613 (2023: 92 524) ლარი.

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

20 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 22 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მოვლენებს, რომელთა ასახვა ან გაშლა განმარტებით შენიშვნაში არის მოთხოვნილი შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.



Info@inox.ge



34 I.Abashidze str.

მმართველობითი ანგარიში

შპს თბილისი ლამ

2024 წელი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.


ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობითი ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

22 ოქტომბერი

შპს თბილისი ლამ-ის

დირექტორი არჩილ ჯიჯავაძე



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობითი ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობითი ანგარიშგება, მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობითი ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობითი ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

22 ოქტომბერი

შპს თბილისი ლამ-ის

დირექტორი არჩილ ჯიჯავაძე -----

კომპანიის ზოგადი ინფორმაცია

შპს თბილისი ლამ (შემდგომში „კომპანია“ ს/კ 404886450) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2011 წლის 3 თებერვალს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის ფერდ. II მ/რ III კვ. კორპ.2 ბ.9.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა:

- საბითუმო და საცალო ვაჭრობა საავეჯე მასალებით ;

დაარსების დღიდან კომპანიის დამფუძნებელი და საწესდებო კაპიტალის 35%-იანი მფლობელი, ასევე დირექტორი არის არჩილ ჯიჯავაძე.

თანამშრომელთა რაოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 21 ადამიანი.

ბუღალტრულ აღრიცხვას ვაწარმოებთ მსს ფასის სტანდარტის მიხედვით და ვიყენებთ ინფოსაწარმოს პროგრამას.

გვაქვს სავაჭრო-სასაწყობო ორი ობიექტი, პირველი ქ.თბილისი, თორნიკე ერისთვის ჩიხი #6-ში რომელიც მოიცავს შოურუმსა და საამქროს, ხოლო მეორე ძირითადი, მარაგების სასაწყობო ბაზა ქ.თბილისი, ავჭალა შუშის ქ.#38-ში

საქონლის შეძენას ვანხორციელებთ, როგორც ადგილობრივ ბაზრიდან, ასევე ვახდენთ იმპორტორს: იტალიიდან, თურქეთის რესპუბლიკასა და ირანის რესპუბლიკიდან.

ასევე გვაქვს მოპოვებული საერთაშორისო სტანდარტების მქონე კომპანიასთან (იტალია GRUPPO FRATI) ექსკლუზივის უფლება მთელ ამიარ კავკასიაში.

განვითარების გეგმები

კომპანიას შემუშავებული აქვს კლიენტების ინტერესებზე მორგებული მენეჯმენტი, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად დაბალ ფასად შეიძინონ საქონელი და მიიღონ მაღალი ხარისხის მომსახურება,

ამ მიზნით კომპანია მაქსიმალურად აფართოებს საქმიან კონტაქტებს საქართველოში, ვთანამშრომლობთ საკმაოდ დიდ პროექტების მქონე კომპანიებთან, რომლებიც აწარმოებენ ავეჯს სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის, როგორიცაა: ქ.თბილისის, მერია, საქართველოს მასშტაბით სკოლები, საბავშვო ბაღები და სხვადასხვა რაიონის მულიციპალიტეტები, ასევე კერძო კომპანიებისთვის საოფისე ავეჯს.

მომავალში კომპანია გეგმავს თავად აწარმოოს მაღალი ხარისხის ავეჯი და საქართველოს ბაზარზე დაიმკვიდროს თავი არამარტო საავეჯე მასალების ძირითადი შემომტანის, არამედ მწარმოებელის სახელით.

ქვეყნის ეკონომიკური ფაქტორები და გარემოს რისკი

მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისის მიუხედავად, რომელიც ჩვენს ქვეყანას არსებითად შეეხო და მნიშვნელოვნად დააზიანა ეკონომიკური გარემო, რომელიც აისახება ვალუტის ხშირი ცვალებადობით, რადგან ჩვენ იმპორტიორები ძირითადად დამოკიდებულები ვართ ვალუტის კურსზე და იგი განსაზღვრავს ბაზარზე პროდუქციის შეძენისა თუ რეალიზაციის ფასს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ვთვლით, რომ ჩვენმა კომპანიამ შეძლო სტაბილურობის შენარჩუნება და ზრდის ტენდენცია, კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, რომელიც მართალია დაფინანსდა სესხის ზრდით, მაგრამ მიუხედავად ამისა კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და მის მფლობელებს სურვილი აქვთ განავითრონ ეკონომიკური საქმიანობა, გაუწიონ ჯანსაღი კონკურენცია და მოიცვან

საქართველოს ბაზარი.

დასაქმებულები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხელფასები გაიცემა ფიქსირებული, ყოველი თვის ბოლო სამუშაო დღეს, წარმოებული ტაბელებისა და სახელფასო უწყისების შესაბამისად.

კომპანიას დასაქმებული ჰყავდა 2024 წლის განმავლობაში 21 ადამიანი, რომლებიც დაზღვეულნი არიან ოჯახის წევრებთან ერთად ჯანმრთელობის დაზღვევით იმელი L-ის მიერ, სადაზღვევო გადასახადს სრულიად უზრუნველყოფს ჩვენი კომპანია.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

2024 წელს კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია.

კომპანიას არ გააჩნია საკუთარი აქციები.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და საინვესტიციო რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს და საპროცენტო განაკვეთის რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და საინვესტიციო რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და საინვესტიციო რისკების შესამცირებლად.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში,

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში

დებიტორული დავალიანება: მნიშვნელოვანი დებიტორებისათვის ინდივიდუალური გაუფასურების შეფასება ხორციელდება ყოველი საბალანსო თარიღისათვის. სავაჭრო დებიტორებიდან მოთხოვნები ინდივიდუალურად ფასდება თითოეული კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების საფუძველზე. შეფასებისას კომპანიის მენეჯმენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული კონტრაგენტის შესაძლებლობა თუ რამდენად დროულად დაფარავს საკონტრაქტო პირობით განსაზღვრულ ყველა აუცილებელ გადასახდელ თანხას. ყოველ კონტრაგენტთან გადახდის პირობებს არეგულირებს ხელშეკრულება. ხოლო ჯგუფური მუდგომის დროს იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე, კომპანიას აქვს 4 ვადაგადაცილების დონე,

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

კომპანიის საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება კონტრაგენტებისგან წინასწარი გადახდების მოთხოვნით. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს კომპანიისათვის. სავაჭრო დებიტორები შედგებიან მრავალი მომხმარებლისგან. საკრედიტო შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საექვო ვალების რეზერვის შექმნით.

ლიკვიდურობის რისკი.

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს დადებითი ლიკვიდურობის პოზიცია და არ დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე.

საბაზრო რისკი.

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო, კომპანიის განფენილობა საკურსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება ევროს დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანია გაყიდვებს არ ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, მაგრამ შესყიდვების წილი საკმაოდ მაღალია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად სავალუტო რისკი არსებობს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით), ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე, კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო

მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.